



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 26 ივნისი

დისციპლინური საქმე №119/18-1  
მოსამართლე --- --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

--- --- 2018 წლის 30 აპრილის №--- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლო-ების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 31 ივლისის №1695/119-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ --- --- 2018 წლის 30 აპრილის №--- საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2018 წლის 03 სექტემბერს.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე --- --- გამოიტანა განჩინება მოპასუხის ინტერესების დაცვის და მისი როგორც მოსარჩელის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2.1. --- --- 2017 წლის 28 თებერვალს სარჩელით მიმართა --- --- სასამართლოს, მოპასუხეების - შპს „--- ---“ -ს და --- --- --- --- --- --- მიმართ. მოსარჩელე მოითხოვდა შპს „--- ---“-ს მიერ ადმინისტრაციული სახდელის სახით შეფარდებული გაფრთხილების ბათილად ცნობას, აგრეთვე --- --- 1099,08 ლარის დაკისრების შესახებ შპს „--- ---“ გადაწყვეტილების და --- --- 31.01.2017 №6/2 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას.

--- --- სასამართლოს მოსამართლის --- --- 2017 წლის 06 მარტის განჩინებით, მოსარჩელეს დაუდგინდა ხარვეზი. განჩინებაში მითითებულია, რომ მოსარჩელის მოთხოვნები წარმოადგენს სამართალწარმოების სხვადასხვა წესით განსახილველ საქმეებს. კერძოდ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე საქმეები განიხილება სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით (--- --- სასამართლოში), ხოლო თანხის დარიცხვის გადაწყვეტილებები საერთო წესით - სარჩელით ერთ-ერთი მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით (მოსარჩელის მითითებით ორივე მოპასუხის ადგილსამყოფელია ---). ამასთან, წარმოდგენილი სარჩელი ასევე შეიცავს სარჩელის

უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობას, რომელიც იგივე სასამართლოს განსჯადია, რომელიც განიხილავს სარჩელს.

2017 წლის 20 მარტს --- სასამართლოში მოსარჩელემ წარადგინა განცხადებები (შუამდგომლობა) სარჩელის გამოხმობის თაობაზე.

--- სასამართლოს მოსამართლის --- 2017 წლის 23 მარტის განჩინებით, --- 2017 წლის 28 თებერვლის სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად. სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა მოსარჩელის 2017 წლის 20 მარტის განცხადება სარჩელის (განცხადების) გამოხმობის თაობაზე.

2.2. --- 2017 წლის 19 ივლისს სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხეების - შპს „---“-ს და --- მიმართ. მოსარჩელე მოითხოვდა შპს „---“-ს მიერ ადმინისტრაციული სახდელის სახით შეფარდებული გაფრთხილების ბათილად ცნობას, აგრეთვე --- 2017 წლის 31 იანვრის №6/2 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რითაც --- უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

--- სასამართლოს მოსამართლის --- 2018 წლის 14 თებერვლის განჩინებით, --- 2017 წლის 29 ივლისის სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება სარჩელის დაუშვებლობის გამო. სასამართლომ მიიჩნია, რომ გასული იყო გასაჩივრების ვადები.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამავე კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძველად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

არსებულ მასალებზე დაყრდნობით, რიგ შემთხვევებში საერთო წესით და რიგ შემთხვევებში სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესით, საჩივრის ავტორი სხვადასხვა პერიოდში

სასამართლოში ასაჩივრებდა ორ აქტს: --- ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ შპს „---“ 08.12.2016 №--- დადგენილებას და --- საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ --- 31.01.2017 №6/2 გადაწყვეტილებას. შესაბამისად, მოპასუხეებზე მიუთითებდა შპს „---“ და ---, ე. --- მისამართით.

აღსანიშნავია, რომ --- სასამართლომ 2017 წლის 28 თებერვლის სარჩელზე დაადგინა ხარვეზი და მოსარჩელეს განუმარტა სასამართლოში საერთო წესით სარჩელის წადგენის წესი - ერთ-ერთი მოპასუხის მისამართის მიხედვით განსჯად სასამართლოში, რაც განსახილველი შემთხვევისთვის ვერ იქნებოდა --- სასამართლო. მოსარჩელეს იქვე განემარტა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შემთხვევებში არსებული განსხვავებული წესი, სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით შესაბამის განსჯად სასამართლოში.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სასამართლოს მიერ 2017 წლის 28 თებერვლის სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა მოსარჩელის მხრიდან სარჩელის გამოხმობა და არა საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება, სადაც სარჩელზე საქმისწარმოების შეწყვეტას უკავშირებს არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენას.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საჩივრის ავტორმა --- სასამართლოში წარადგინა საჩივარი სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესით შპს „---“-ს დადგენილებაზე ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ და არა სარჩელი --- გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე. შესაბამისად, მცდარია საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსამართლე --- 28/02/2017 სარჩელის განხილვისას მოსარჩელეს მისცა არასწორი განმარტება, რამაც შეუზღუდა სასამართლოთი უფლებების დაცვის შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, საჩივრის ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები სასამართლოს განჩინებებში მოსამართლეთა მიერ გაკეთებულ შეფასებებთან დაკავშირებით, ვერ გახდება დისციპლინური სამართალწარმოების დროს მსჯელობის საგანი და განეკუთვნება კანონიერების სფეროს.

**4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 03 სექტემბერის დასკვნით დადგინდა, რომ --- 2018 წლის 30 აპრილის №--- საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე --- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

#### **გადაწყვიტა:**

--- 2018 წლის 30 აპრილის №--- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე --- მიმართ.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**